სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

შპს „ მმმ“ ს/კ 205047741

დირექტორი: ბადრი ჩანჩიბაძე პ/ნ 01024010811

განცხადება

(თანხმობა)

გაცნობებთ, რომ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართი, კერძოდ:

მისამართი:	ქ. თბილისი, ფორე მოსულიშვილის ქ. #15
საკადასტრო კოდი :	01.11.12.012.067.01.01.500 01.11.12.012.067.01.02.001 01.11.12.012.067.01.02.002 01.11.12.012.067.01.02.003

დროებით სარგებლობაში გადაცემული აქვს სს ,,ნიკორა ტრეიდს“ (ს/კ 206255808).

წინამდებარე განცხადებაზე ხელმოწერით თანხმობას ვაცხადებთ, რომ ზემოაღნიშნულ ფართზე, სს ,,ნიკორა ტრეიდმა“ (ს/კ 206255808) თავისი შეხედულებისამებრ, ჩემი წინასწარი თანხმობის გარეშე, შეასრულოს მიმდინარე რემონტი, აგრეთვე მოახდინოს ფასადის ცვლილება/მოპირკეთება (მათ შორის მოაწყოს ღიობები, ვიტრაჟები, კიბეები), განათავსოს სარეკლამო აბრები, საჩრდილობლები, კონდიციონერები და სხვა საჭირო ინვენტარი, აგრეთვე უზრუნველყოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან ნებართვების მიღება.

წინამდებარე განცხადებაზე ხელმოწერით თანხმობას ვაცხადებ, სს „ნიკორა ტრეიდმა“ ან/და სს „ნიკორა ტრეიდის“ ქვემოიჯარემ ჩემს საკუთრებაში არსებულ ზემოაღნიშნულ ქონებაზე განათავსოს ბანკომატი ან/და სწრაფი გადახდი აპარატი, ასევე უზრუნველყოს ამ მიზნით უფლებამოსილი ორგანოებისაგან თანხმობების/ნებართვების მიღება.

შპს „ მმმ“ ს/კ 205047741

დირექტორი: ბადრი ჩანჩიბაძე პ/ნ 01024010811

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N220918055
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	21.07.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მერაბ ფარჯიკია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი ვ/ფშაველას 41
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	მობილური 599 19 64 09
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	37064562346522

საქართველო

ორიათას ოცდაორი წლის ოცდაერთ ივლისს მე, ნოტარიუსს მერაბ ფარჯიკიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41-ში. მომმართა ბადრი ჩანჩიბაძემ, რომელმაც წარმოადგინა განცხადება (თანხმობა) და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ბადრი ჩანჩიბაძემ (დაბადებული 20.04.1963წ. პირადი # 01024010811, რეგისტრირებული: თბილისი დ.გამრეკელის ქ. N 20 ბ. 16) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე, ამის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა ხელმოწერა წინამდებარე დოკუმენტზე.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.11.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე 6 (ექვსი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეესტრში რეგისტრაციის საფასური 5.00 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 1.00 (ერთი) ლარი და რვა თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი მერაბ ფარჯიკია

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18